

ქართული ბავშვობა პარიზში და ოჯახი



ჩემს პარიზულ ცხოვრებას მუდამ თან სდევდა ჩემი ოჯახის წევრთა მოგონებები საქართველოზე. სახლში ქართულად ვსაუბრობდით. ასე ჩამინერგეს სამშობლოს სიყვარული, რომელიც არასოდეს მენახა. ჩემს შვილებს უცხოელებისთვის რთულად გამოსათქმელი სახელები – თეიმურაზი და ქეთევანი დავარქვი და მეც მათთან ქართულად ლაპარაკი ვარჩიე. მიხარია, რომ დღეს ისინი თავისუფლად საუბრობენ

ქართულად. ქეთევანი დღეს ერთ-ერთი ფრანგული სტელევიზიო არხის რედაქტორი და წამყვანია, თეიმურაზმა კი დიპლომატიის გზა აირჩია.

ჩემი მეუღლე - ჯანრი საფრანგეთში გავიცანი, როდესაც ის საბჭოთა რეჟიმს დაუპირისპირდა და თავისუფლება აირჩია. მან დამაკავშირა იმ საქართველოსთან, რომელიც თავისუფლების მოპოვებისთვის იბრძოდა. საფრანგეთში ერთად დავაარსეთ „ქართულ-ევროპული



ქართული საღამო პარიზში



სალომე ზურაბიშვილი ძმასთან, ოთართან ერთად

ინსტიტუტი“. ერთად ვაკეთებდით ქართულ საქმეს - ფრანგულ ენაზე გამოვეცით ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, გეგმავდით

სტატიებს საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, რომ ვეროპას გაეგო, რა მოხდა სინამდვილეში საქართველოში.



გვ-8



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება. № 39 (10284) 15 ოქტომბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

„ალეგრობა“ ოზურგეთში



ალიონი.. გასულ პარაკეკს ქ. ოზურგეთში „ალეგრობის“ დღესასწაული გაიმართა. დღესასწაულში რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა. თავდაპირველად ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის საკონცერტო დარბაზში სარეკლამო ფილმის „რა ყოფილა გურია“ გაიმართა, რომელიც ცნობილ ხელოვანს გიორგი სალუქვაძეს ეძღვნებოდა. ფილმი შთაბეჭდავია და მის გარშემო თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს ფოლკლორის ცენტრის დარბაზში მყოფ ხელოვანებს, საჯარო მონებებს, სტუმრებს გურიის გუბერნატორმა ზურაბ ნასარა-

ამ, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა **არჩილ თალაკვაძემ**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ**, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა **ვასილ ჩიგოგიძემ**, გიორგი სალუქვაძის ვაჟმა, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **გიორგი (გულდია) სალუქვაძემ**. შემდეგ სტუმრები კოლეჯ „პორიზონტს“ ესტუმრნენ, ოზურგეთის სურათების გალერეაში გამოფენა დაათვალიერეს. ქ. ოზურგეთის, „ჭადრების



გვ-8

სკანდალი ოზურგეთის უპოვართა სასადილოს ბარში

ალიონი. გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, რომ უპოვართა სასადილოში წინა ტენდერში გავრცელებული „ჩიხურა“ (ხელმძღვანელი ეკა კობერიძე) ბრუნდებოდა, გასულ პარაკეკს, 12 ოქტომბერს, ხსენებული კვების ბლოკის ბენეფიციარებს საპროტესტო აქცია გამართეს, სარიტუალო დარბაზ „ნატალიდან“ (სადაც ამჟამად ეს სასადილო ფუნქციონირებს)) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში გადაინაცვლეს და განცხადებით მიმართეს გურიის გუბერნატორს ზურაბ ნასარაიას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს კოტე შარაშენიძეს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიას: „მოვასხმენებ უპოვართა ხალხის მდგომარეობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტენდერში გამარჯვებული ეკა კობერიძე, რომლის საქციელიც არ შეესაბამება არავითარ ადამიანურ საქციელს. ისეთი საჭმელები კეთდებოდა, რომელიც ყოვლად დაუშვებელი იყო ადამიანს ეჭამა. რამდენჯერმე გამოვთქვით უკმაყოფილება, მაგრამ ისეთი ადამიანები ედგათ გვერდში, ვერ გავხდით ვერაფერი. დღესდღეობით დაუმთავრდა ტენდერის ვადა და ვინც დღეს ჩვენ გვერდში გვიდგას, გვაჭმევს ნორმალურად, გვეძვევა ადამიანურად, ვღებულობთ საჭმელს უშიშრად და ვართ უადრესად კმაყოფილი, ეს პიროვნება „ჩიხურადან“ ეკა კობერიძე იბრძვის ისევ დავაპარუნოს მის მონებდა და ვილაყვილებს მხარდაჭერით გვერდების.



გთხოვთ, ჩვენს ადგილობრივ ხელისუფლებას, მოგვხედოს და ეს დანაშაუვ პიროვნებას მოთხოვოს პასუხი და ჩამოგვაცილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხალხი არ დავუშვებთ მის მოსვლას“. აქციის მონაწილეები „ალიონს“ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ირაკლი სირაძის კაბინეტში დახვდნენ: **ნანი ბაჩხალიძემ:** შარაშენიძეს, რასაც ეუბნებოდნენ, იმას აკეთებდნენ. მერს უწერა, ხელი ლობიოსგან წვნიანი უნდა გააკეთებინა ის ლობიო კი მატყლიანი იყო. ბულიონში – ხორცი უხარშავი, უფერული, უგემური. ამიტომ აღარ გვინდა ძველი სასადილო, სადაც ახლა ვართ, ის გვირჩევნია. გვაჭმევს ჩახოხილს, კომბოსტოს, კისელს, ფაფა რძეში გაკეთებულია, სოსისი, პიურე,

კატლეტი, ფუნთუშები. თან ყველაფერი გემრიელია“. **თამარ ტაბატაძე:** „მაქაური ხორციით მეშვიდეკლასელი შვილიშვილი მომეწამლა“. **რომან შლენტი:** „ამ ხნის კაცი ვარ, რესტორნებისა და სასადილოების მეტი რა მინახავს, მაგრამ ასეთი არაფერი“. **ნათია ლლონტი, საბაკეტო დარბაზ „ნატალი“ მფლობელი:** „ტენდერი მოვიგე. 1,80 თეთრი იყო გათვალისწინებული დღიურ ნორმად. მყავს 170 ბენეფიციარი, რომლებიც ყოველდღე დადიან. მერ ერთი საბუთი არ ჩამითვალეს, რომელიც დარბაზის ბრუნვას ეხებოდა სრულყოფილი არ იყო და გუშინ შემეწვივებინა ხელშეკრულება. როცა ტენდერი მოვიგე, მორე დღესვე მომწერეს, რომ დამატებითი საბუთი იყო

საჭირო. ვადა მქონდა სამი დღე. მე მორე დღესვე გავგზავნე, მაგრამ მანც ბათილად ცნეს. ითხოვდნენ გამოცდილებას, რაც რა თქმა უნდა მაქვს, ხუთწლიანი“. **ცაგლინა აფსაზაშვილი:** „ძველ სასადილოში ადამიანებდა არ გეთვლიდნენ. ავადმყოფი შეილთან რომ საჭმელს წავიღებდი და თავს მოვხდიდი, ყარდა ხორცი. მაგრამ რომ ვერაფერს ვაგხდი, ხორცის გამოცდილებით მოვიდი, იმან მითხრა, რა ვქნა დეიდა, რასაც მოხვევენ იმას ვაძლევო. ამის ვარდა, სხვა პირობებებს ჩამოიტანდა და თვეები ყვარა. თუ რაღეს ვიტყვოდი, არ მოვწონო და წაბრძანდით სახლში, ვვასუსობდნენ. მერაში ვისაც უშუალოდ ეხებოდა ეს თემა, იყო თამარიკო



გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აღიონზე
«ალიონით»

დაჯილდოება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე:
ანზორ ერქომაიშვილი, ვასილ ჩიგოგიძე, ლეონიდე თოიძე;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოღვაწე
ლიანა ბაქანიძე, გივი გორგოშიძე, ზურაბ ზურაბიანი, ვალერიან ზურაბიანი, გურამ მაჭარაშვილი, თამარ ყურაშვილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მცხოვრები:
ლევან მჭავანაძე, ალექო ტულუში, ოთარ ჩხარტიშვილი;

საქართველოს განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტრომ ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის წოდებით „ხელოვნების ქურუმი“ დაჯილდოვდნენ ცნობილი ქორეოგრაფები **ანზორ ბვარაშაძე** და **ვაჟა ახვლედიანი**; ქართულ ფოლკლორსი შეტანილი წვლილისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეაქციო დაწესებულებათა გაერთიანების საპატიო სიგელით ცნობილი ლობჯანი **ჯამალ ჭყელიძე** დაჯილდოვდა.

გუბერნატორი ადგილობრივ მეფუტკრეებს ესაუბრა



ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“ (PIN) ახორციელებს პროექტს „მეფუტკრეობის მდგრადი განვითარება საქართველოში.“ პროექტი დაფინანსებულია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ და მისი მიზანია საქართველოში ხარისხიანი თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების მოცულობისა და ღირებულების ზრდა, საქართველოს ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში 130-მა მეფუტკრემ, მათ შორის გურიის რეგიონში მცხოვრებმა 35-მა მეფუტკრემ გაიარა თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსი (7 საღამო დღე), მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტების მიერ შედგენილი მეფუტკრეობის სახელმძღვანელოს მიხედვით, რეგიონში მოღვაწე მოწინავე მეფუტკრეების საწარმოებში. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, ადგილობრივ მეფუტკრეებს ეწვია და მათ წარმატებები უსურვა პროექტის განხორციელებასა და პროფესიულ საქმიანობაში. შეხვედრას ესწრებოდნენ გუბერნატორის მოადგილეები და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გურიის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელი. პროექტის შემდეგ ეტაპზე იგეგმება სასწავლო კურსის მოწოდება რაჭაში, ამბროლაურში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწარმოში. გარდა ამისა, ოქტომბრის ბოლოს გამოცხადდება საგრანტო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კურსის მსმენელებს. საგრანტო კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ მათ მიერ მოთხოვნილი ინვენტარი, რასაც მეფუტკრეები გამოიყენებენ ფუტკრის პროდუქტების წარმოების პროცესში. აღნიშნული ხელს შეუწყობს ხარისხიანი თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების მოცულობისა და ღირებულების ზრდას. პროექტი ხორციელდება საქართველოს ხუთ რეგიონში: გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში.

პროექტი „მე ვიცი ჩემი ძალაქის ისტორია“

გამარჯვებულები „ალმპროგაზუ“ მიიწვიეს, სადაც მათ სპეციალური ჯილდოები გადაეცათ



9 ოქტომბერს ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში შედგა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და გენდერული თანასწორობის საკითხთა სამსახურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების ერთობლივი პროექტის („მე ვიცი ჩემი ძალაქის ისტორია“) მეორე, დასკვნითი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქ ოზურგეთის №1, №2, №3, №4 და №5 საჯარო სკოლები; წმინდა ნინოს გიმნაზია, გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლა, სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა, სოფელ ცხემლისხიდის საჯარო სკოლა და დაბა ნარუჯის საჯარო სკოლა. „ამ და სხვა ანალოგიური პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას, სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბებას, საკუთარი ქვეყნის, კუთხის ისტორიის ცოდნასა და მისდამი პატივისცემას“ - თქვა „ალიონთან“ საუბრისას განათლების, კულტურის და გენდერული თანასწორობის საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა მარინა ჯაფარიძემ

საკონკურსო ნაშრომები შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით: პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, საპრეზენტაციო თემის რელევანტურობა (რელევანტური - მნიშვნელოვანი, არსებითი), პრეზენტაციის ტექნიკური მოცემულობა, რეკლამენტის დაცვა, კვლევის უნარ-ჩვევები. უნდა ითქვას, რომ კონკურსში მონაწილე მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი დასახულ ამოცანას. როგორც დამოუკიდებელი კვლევა-ძიებით, ისე კონკრეტული პიროვნებების დახმარებით, მათ მოიძიეს შესაბამისი ინფორმაციები და მეტი გაიგეს საკუთარი ქალაქის შესახებ. ჟიურის ქულობრივად შეფასდა საკონკურსო ნაშრომები. ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ცხემლისხიდის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლის **გიგა ჭალაძის** ნაშრომმა, მეორე იყო ქალაქის №4 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლის **ირინა ქაჯუარაძის** და VIII კლასის მოსწავლის **გურამ გოლიაძის** ნაშრომები, მესამე ადგილი წილად ხვდა წმინდა ნინოს სახელობის სასულიერო გიმნაზიის X კლასის მოსწავლეების **მარიამ მექვაბიშვილის**, **დათო თოდრიას** და **ლიკა სირაძის** ნაშრომს, ჟიურის სიმპათია დაიმსახურა სოფელ **ლიხაურის** საჯარო სკოლის XI კლასელების **ანანო გორდელაძისა** და **ელენე ჯაფარიძის** ნაშრომმა. კონკურსში მონაწილე ყველა მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელებითა და პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე გაფორმებული კრებულებით „თბილისი“. გამარჯვებული ნაშრომების ავტორები მიიწვიეს „ალიონის“ დღესასწაულზე, სადაც მათ გადაეცათ სპეციალური ჯილდოები. ოთხივე მასალა გამოქვეყნდება გაზეთ „ალიონში“

გურიის გუბერნატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობას უმხვდა



ზურაბ ნასარაია (მერია, ბაღდადი, შრომა, მეღვინეობის) სოფლებში არსებულ ვითარებას გაეცნო და ადგილობრივების საჭიროებები უშუალოდ მოქალაქეებისგან მოისმინა. შეხვედრაზე ყურადღება გაზიფიცირებისა და ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გამახვილდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მოსახლეობის დასმულ შეკითხვებს გუბერნატორმა ამომწურავი პასუხები გასცა და მათ შეძლებისდაგვარად დახმარებას დაჰპირდა

სკანდალი ოჯახების უკომარტო სასადილოს გარშემო



ლუმბაძე, რამდენჯერმე მივედი, მაგრამ აზრი ვერ გამოვიტანე მისი ნათქვამიდან. რამდენჯერაც მისი დახმარება დამჭირდა, მატარა, მაცივრა ყოველთვის. როგორც კი მაგ ქალს, კობერიძეს დააბრუნებენ აუკუვადვით კარს. მაღლობელი ვარ კოტე შარაშენიძის, ირაკლი სირაძის ამითმა გაივსო ჩვენი გულის ტკივილი და დაგვიდგინა გვერდით. ამის თქმა დანაშაულია? ზოგს ეშინია ამის თქმა. მე არ მეშინია, მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ პარტიის წევრი ვარ.“

თამარ ღუმბაძე, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი:
„რაც კოტე შარაშენიძე მერი, მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ მქონდა შეხება უფასო სასადილოსთან, ეს იყო 11 აპრილი, ნარი ჩველი შევიდის განცხადება შემოვიდა სასადილოში არსებულ მდგომარეობაზე, მოხედეთ ამ სასადილოს მოსარგებლებსო. განცხადება რეაგირებისთვის გადავუზავე ეკა კობერიძეს. საერთოდ, ივნირირებული ვარ ყველანაირად, ამიტ-

ომ არც შევსულვარ და შემომწმობია. იქიდან გამოდინარე, რომ მერთან კომუნიკაცია არ მაქვს, არანაირ პროცესებში არ ვარ ჩართული. მაქვს საფუძვლი, ვიფიქრო, რომ ინსპირირებულია ეს პროცესი. იცის საზოგადოებამ, რა პროცესზე ვლაპარაკობ, ყველა, სადა თუ ომბუდსმენის აპარატი, ამას ამბობს, სიუჟეტზე გადაიტა, გამოძიება დაიწყო, დაკითხვაზე ვიყავი. აბა რაა ეს? რა თქმა უნდა, მოყვებოდა შესაბამისი რეაქციები.“

მპა კომპანიძე, შპს „ჩიხურას“ დირექტორი: „რას ვლაპარაკობ, რა ცუდი ხორცი? ცოცხალ ხორცზე ვმუშაობდით. მე არაადეკვატურ ხალხთან საუბარს არ ვაპირებ. ანგაყირებულები არიან პოლიტიკური მოტივებით. რა თქმა უნდა, მიუწონებოდათ ბენეფიციარებს შეცვლილი მენიუ, იქიდან გამოდინარე, რომ ხალხს 10 წელი ერთი და იგივე მენიუ ყელში ამოუვიდა. ამას ადრეც ვამბობდი. ჩემი მხრიდან, რაც შეიძლება გამეკეთებინა მენიუს შეცვლაზე, ცდა არ დამკლია. იტულებით მუნიციპალიტეტს ვერაფერს

გააკეთებინებ. იმ მოცემულობით კი, რა მოცემულობითაც ტენდერი ჰქონდათ გამოცხადებული, 100 პროცენტით იღებდა ეს ხალხი მომსახურებას. ამიტომ მეონია, რომ ბენეფიციარებს სხვა ძალები ალაპარაკებენ.

არასწორია, რომ ასალი ტენდერი მოვეყე. უბრალოდ, მაგათი კომისიის გადაწყვეტილება გავასაჩივრე, რომლითაც გამარჯვებულად ცნეს ნათია ღლონტი. მითხრეს, რომ ვარ მართალი და ოჯახების მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება არის არაკანონიერი. მე რა შუაში ვარ? მე უბრალოდ ვარ სარჩელის შემტანი, განხილვა კი გააკეთა სახელმწიფო უწყებამ.

დღეს დამირეკა მუნიციპალიტეტის მერმა, მითხრა, თქვენ ვაღივლებულები არ დაგრჩათ მუნიციპალიტეტში? ვუთხარი, რომ არანაირი ვაღივლებულება არავისთან არ დამრჩა-შეთქი. მერე, შესყიდვების გადაწყვეტილება სულ არ მაინტერესებს, მე ვწყვიტავ, ვის დაგაფინანსებო. ასე რატომ უნდა ვლაპარაკობდეს მუნიციპალიტეტის მერი? არასწორი გადაწყვეტილებების გამო, თავის შეცდომებზე უნდა გაბრაზებულიყო, ჩემზე კი არა. ჩემთვის უნდა ეთქვა, კაი ვივო ხარ, მივავხვედრე და არაკანონიერი გადაწყვეტილება აღსასრულებლად არ გადავცი და საბოლოო ვაშში ხელშეკრულება ხელში არ ჩავეუღე იმ პირს, ვისაც არ ეკუთვნოდა.

უკვე სურვილიც აღარ მაქვს მე ჩამოსვლის. კაცი ვარეშე პირს რომ მიუტაროთ ვესაუბრება, ხელშეკრულება აღებული პირი რომ გახდება, მერე რას იზამს. რომც გავიმარჯუო მაგ ტენდერში, უარს ვამბობ, არ მინდა წივილი-კვივლები და ესეთი ამბები. არ რჩება მანდ იმდენი ფული, რომ ჩემი ნერვების დაწყვეტის ფასად ღირდეს. ეს არ არის ჯანსაღი პროცესი.“

რეგიონების გაზივიცირობასთან დაკავშირებით სამუშაო უხვედრა გაიმართა



„გაზის ტრანსპორტირების კომპანიისგან მივიღეთ ინფორმაცია სხვადასხვა ობიექტის არსებული სტატუსისა და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ. გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში სამუშაო დასრულებულია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით, არ ხდება გაზის მიწოდება, მაგალითად - ლიცენზირების საკითხი სემეკში ან ქონების გადაცემის საკითხი ეკონომიკის სამინისტროში გადის შესაბამის პროცედურებს. ჩვენი ჩართულობითა და ამ უწყებების კოორდინაციით მივალწიეთ იმას, რომ ეს პროცესები და შესაბამისად, ბევრი სოფლისთვის გაზის მიწოდება დაჩქ-

არდება“ - განაცხადა ვიცე-პრემიერმა **მაია ცქიტიშვილმა**.
შეხვედრას ყველა რეგიონის გუბერნატორი, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსი **სოზარ სუბარი**, ეკონომიკის, გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების, გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა და სემეკის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ
იმავ დღეს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, საუბარი შეეხო მელიორაციის საკითხებს.

ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი?

„როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, კითხვაზე სწორი პასუხის გაცემაში რუსოქიმი იხარბებალვას ჩვენი უფასო მოსახლეობით - გავითარი თითო არაკორლიტიკური განცხადების ან მილოცვის გამოქვეყნებით. „ამ ვისზეც ვფიქრობ, რომ გამარჯვების შანსი აქვს, ის არ მიწდა პრეზიდენტად“, - გვითხრა ერთ-ერთმა. რას ფიქრობენ დანარჩენები?

მ ა ლ ხ ა ზ ტუაშვილი: ჩემი აზრით, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გახდება. მას აქვს ყველაზე დიდი შანსი.

ავთანდილ ვაშალომიძე: პრეზიდენტი გახდება ის, ვინც, უნდა ოცნებას. ასე იყო ყოველთვის, მმართველ პარტიას თავისი კაცი გაჰყავს, მაგრამ, მე არ მინდა, რომ სახელისუფლებო კანდიდატი გახდეს პრეზიდენტი, რადგან მივიჩნევ, რომ „ნაციონალები“ და „ოცნება“ ერთი და იგივეა. ორივე უნდა მოცილდეს ქვეყანას, თუ გვინდა, ქვეყანა გაიმართოს წელში. სხვა ვარიანტს მე ვერ ვხედავ. ჩემი სიმართლე ეს არის. ამიტომ, ვუჭერ მხარს შამიაშვილს.

ვიცი რომ პრინციპული ადამიანია, აქვს საკუთარი პროგრამა, უკეთება საქმეები, არის უპატიოსნესი კაცი. ეს ვიცი ნამდვილად. მაგრამ მას ყველანაირად ბლოკავენ.

ელგუჯა თავართქილაძე: პრეზიდენტი უნდა გახდეს კუკავა.

ამბობს რომ მევახშეებს განადგურებს და ზუსტად ეს გვეჭირდება ჩვენ.

ზვიად ბეგ-კალაშაძე: დანამდვილებით ამის თქმა ძნელია, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, დავით ბაქრაძეს აქვს ყველაზე დიდი შანსი.

რეზო ტარიელაძე: არ მაქვს ინტუიცია. მე ვინ მინდა? უნდა იცნობდეს პირადად ადამიანს, რომ მისი უპირატესობა დაინახო. ალბათ, გროგოლ ვაშაძე.

ლიანა გოშუა: არ ვიცი, ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ სურვილი მაქვს, უსუფაშვილი იყოს ჩვენი პრეზიდენტი. იცით რატომ? ცოტა გავიზარდეთ ჩვენ და

ტყუილი დაპირებები აღარ გვინდა. რადგან ეს კაცი არაფერს მიხრდება, აქედან გამოდინარე, ტყუილს არ მეუბნება.

დათო ვაშალომიძე: არ ვიცი. არც მე მყავს რჩეული. მე ვისზეც ვფიქრობ, რომ გამარჯვების შანსი აქვს, ის, არ მინდა პრეზიდენტად. ამიტომ არ დავასახელებ. არ გეწყინთ.

იაკობ კილაშვილი: ალბათ, სალომე ზურაბიშვილია ჩვენი მომავალი პრეზიდენტი, თუ სიტუაციას შევფასებთ, ამ ეტაპზე, ასე ჩანს.

ბრიზა სმირონი: მეც ასე ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილი გახდება პრეზიდენტი.

გელა მშაგია: აგი კაცი მინდა, ჩემს გვერდით რომ ვიყავი, მაგრამ მაინც სალომე გახდება პრეზიდენტი.

ივანე ღარიანი: მეონი სალომე. ამ ეტაპზე ასე ჩანს.

გურამე მურასელიანი: სავარაუდოდ, ვაშაძე. რეიტინგებს რომ ვუყურებ, ასე ჩანს. სიმართლე რომ ვთქვა, მეც ასე მინდა. თუ არა, მაშინ ბაქრაძე. ოღონდ „ის ქალი“ არა.

ოლიგო მფარაშვილი: ვინც ჩემთვის იქნება კარგი, ის მინდა მეც. მაგრამ მე არავინ არასდროს მემარბა და...

გურამ ვიტიშვილი: ვინ გახდება? ვაშაძე გახდება პრეზიდენტი.

ბადრი მამალაძე: სალომე გახდება პრეზიდენტი. მაგას რა თქმა უნდა.

რეზო კაკანაძე: დავით უსუფაშვილი. მე მას ვუჭერ მხარს.



გულო მიქაბაძე: მაგას კითხვა უნდა? ვაშაძე. არავითარ შემთხვევაში სალომეს არ მივცემ ხმას

ოთარ შანიძე: ალბათ, სალომე. მე ასე ვფიქრობ და რა ვიცი.

ციური დვალისვილი: ვინ გახდება და რა გვარია ულვაშა? ვაშაძე

ხომ? მაგი რომ არ გვედეს, არ ვიცი...
მზია ტრაპაძე: არ ვიცი, ვინ იქნება პრეზიდენტი. მე ვინ მინდა? ეს საიდუმლოა.

ხათუნა რურუა: არ ვიცი, მაგრამ მე ის მინდა პრეზიდენტად, ვინც ჩემს აფხაზეთში დამაბრუნებს.

მასწავლებლის დღე ოზურგეთში

ეს იყო მაღალ დონეზე მომზადებული საზემო ბრანდოზული ღონისძიება

ალიონი. როგორც ვახუთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, 5 ოქტომბერს ქალაქ ოზურგეთში მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილ ბრანდოზულ ღონისძიებას სახელმძღვანელო მე-2 საჯარო სკოლაში უმასპინძლა. იქვე ვთქვით, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქითხის სამსახურისა და ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობით მომზადებულ, მხატვრული და საკონცერტო ნომრებით მდიდარ ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორები და პედაგოგები, საკრებულოსა და მერიის წამყვანი სპეციალისტები, საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლები.

პედაგოგებსა და დამსწრე საზოგადოებას მასწავლებლის პროფესიული დღესასწაული ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასრაიამ:**

„საოცარი დამთხვევაა, დღეს რკინიგზელთა დღეცაა. როგორც იცით, სანამ გუბერნატორად დავინიშნებოდი, მე რკინიგზის პროფკავშირებში ვმოდებოდი. ვილოცავთ და თქვენი ნებართვით, აქედანვე მივაწვდენ ხმას რკინიგზელებსაც. მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ვხვდები განათლების დარგის ბრწყინვალე საზოგადოებას, ვისზედაც დიდად არის დამოკიდებული არა მარტო ოზურგეთისა და გურიის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის დღევანდელი და ხვალისდელი დღე. ვილოცავთ დღესასწაულს, ვიცი თქვენი წარმატებების შესახებ. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება“ – თქვა ღონისძიებაზე გუბერნატორმა.

მოზიემ პედაგოგებს მიესალმნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ლელა იმედაშვილი**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული მონაწილეობით დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელი **გიორგი ინჭიკიშვილი**, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქითხის სამსახურის ხელმძღვანელი

მარინა ჯაფარიძე და სხვები. საზეიმო საღამო მიჰყავდათ ბოხვარის საჯარო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგებს **მაია მარგალიტაძეს** და **ნათია ყურაშვილს**.

„მადლობა ორგანიზატორებს, ეს იყო მაღალ დონეზე მომზადებული საზეიმო ბრანდოზული ღონისძიება“, – თქვეს „ალიონთან“ საუბარში ოზურგეთელმა პედაგოგებმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის სიგელები და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ:

ღვაწლმოსილი ამდამომავნი

გიორგი მამაკაიშვილი - გომის საჯარო სკოლა (უცხო ენა);

ელეფთერ მახარაძე - ნატანების საჯარო სკოლა (სკოლის ყოფილი დირექტორი, მათემატიკოსი);

დუშა დარჩია - სილაურის საჯარო სკოლა (ბიოლოგი);

ქსენია ქამადაძე - ნასაკირალის საჯარო სკოლა (დაწყებითი);

ანხელ ზოიძე - ნასაკირალის საჯარო სკოლა (დაწყებითი)

ეთერ მენაბდე - ნასაკირალის საჯარო სკოლა (მათემატიკოსი)

ლამარა მოისწრაფიშვილი - ქალაქ ოზურგეთის მე-3 საჯარო სკოლა (ფილოლოგი);

გულნარა ტრაპაიძე - ქალაქ ოზურგეთის მე-3 საჯარო სკოლა (მატემატიკოსი)

გიორგი კოსტავა - კონჭკათის საჯარო სკოლა (სპორტის მასწავლებელი);

რუსუდან კვიციანი - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე (უცხო ენა);

ნანი სალუქვაძე - ლიხაურის საბავშვო ბაღის აღმზრდელი;

მარიამ ღლონტი - ქალაქ ოზურგეთის მე-4 საბავშვო ბაღის მენეჯერი;

ლამარი მიქაძე - ქალაქ ოზურგეთის მე-5 საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი

5 ოქტომბერს დაბადებული ქეთევან ქაღვიშვილი

- მე-5 საჯარო სკოლის დირექტორი

წარმატებული მასწავლებლები

თამარ ყურაშვილი - მენტორი მასწავლებელი (ბოხვარის საჯარო სკოლის დირექტორი -ფილოლოგი);

მზია ვაშალიძე - წამყვანი მას-

წავლებელი (ბახვის საჯარო სკოლის დირექტორი);

ციური გოგობერიძე - წამყვანი მასწავლებელი (გაღმა დედაბუნის საჯარო სკოლის დირექტორი);

მაია გოგუაძე - წმ. ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა (ფილოლოგი);

ნინო ვაშალიძე - ქალაქ ოზურგეთის მე-3 საჯარო სკოლა (დაწყებითი);

მარინე ვაჩიშვილი - ქალაქ ოზურგეთის პირველი საჯარო სკოლა (ბიოლოგი);

თეა ურუშაძე - ქალაქ ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა (მათემატიკოსი);

დიმიტრი ტულუში - ქალაქ ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა (სპორტის პედაგოგი);

მარინა გოგუაძე - ურეკის საჯარო სკოლა (უცხო ენა);

ლიზა ლომჯარია - გურიანთის საჯარო სკოლა (ფილოლოგი);

სათუნა სალუქვაძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა (ისტორია);

კომედი ამდამომავნი

მაია ღლონტი - ქალაქ ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა (ფილოლოგი);

თამარ ყურაშვილი - ბოხვარის საჯარო სკოლის დირექტორი (ფილოლოგი)

მზია ვაშალიძე - ბახვის საჯარო სკოლის დირექტორი (ფილოლოგი)

სათუნა ჭიჭიანი - ვაკიჯვარის საჯარო სკოლა (დაწყებითი);

ნინო ღლონტი - სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის დირექტორი

ნოდარ დონაძე - თხინვალის საჯარო სკოლა (მუსიკის მასწავლებელი)

ლამა ბოლქვაძე - ზემო ნატანების საჯარო სკოლის დირექტორი

სემლოვანი ამდამომავნი

შორენა კიკუტაძე - ქალაქ ოზურგეთის მე-4 საჯარო სკოლა (ხელოვნება);

მაია გოგობერიძე - ქალაქ ოზურგეთის მე-4 საჯარო სკოლა (ინფორმაცია)



მერი კეჭავაძე - კვირიკეთის საჯარო სკოლა (დაწყებითი)

სათუნა დარჩია - ქალაქ ოზურგეთის მე-5 სკოლა (დაწყებითი)

მანანა ლუმაძე - ბოხვარის საჯარო სკოლა (დაწყებითი)

თინათინ მელიქაძე - ბოხვარის საჯარო სკოლა(დაწყებითი)

ცისია გოთუა - კონჭკათის საჯარო სკოლა (ხელოვნება)

როზა არბელიძე - ქალაქ ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა (ხელოვნების)

ციური ეგენიძე - ქალაქ ოზურგეთის პირველი საბავშვო ბაღის მენეჯერი

ნარია ლომთათიძე - ქალაქ ოზურგეთის მე-3 საბავშვო ბაღის მეთოდისტი

სათუნა ჭიჭიანი - ვაკიჯვარის საჯარო სკოლა (დაწყებითი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ სიბამუხითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვა ახალგაზრდა (30 წლამდე ასაკის) ამდამომავნი:

მზია სალუქვაძე - ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა;

შორენა კობალავა, ნათია სურგულაძე - ნოდარ ლუმაძის სახელობის ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა;

თამარ მალაფერიძე - ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა;

ანი გობრიონიძე - ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა;

სოფიკო კილაძე, სოფიო მარკ-

იიძე - ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლა;

თეა დათუნაშვილი, ნათია ჯაყელი - სოფელ ასკანის საჯარო სკოლა;

მიხეილ ვასაძე - სოფელ ბაილეთის საჯარო სკოლა;

თინათინ ანტონიანი - სოფელ ბახვის საჯარო სკოლა;

მაკა დეკანოიძე- სოფელ გაღმა დედაბუნის საჯარო სკოლა;

თამარ მალაფერიძე, ფიქრია კვაჭანტირაძე - თეიმურაზ ჭიჭიანის სახელობის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლა;

ნათია როყვა - სოფელ ზემო ნატანების საჯარო სკოლა;

ნადია ქარდავა - სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა;

ნინო ჭელიძე - სოფელ მაკანეთის საჯარო სკოლა;

სოფიკო ანტონიანი - სოფელ ნაგომარის საჯარო სკოლა;

რუსუდან აბაშიძე - დაბა ნარუჯის საჯარო სკოლა;

მარიამ კვაჭაძე - სოფელ ქვედა ბახვის საჯარო სკოლა;

ნათია კვაჭანტირაძე - სოფელ შრომის საჯარო სკოლა;

სალომე კვერციანი - სოფელ ციხისფერდის საჯარო სკოლა;

ქრისტინე მათითაიშვილი, გიორგი ბარამიძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა.

„შენ გქვია მასწავლებელი და ყველაფერი თქმულია“



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლაში მასწავლებლის დღეს შე-

ხვედრა გაიმართა იმ კურსდამთავრებულებთან, ვინც მერიის სკოლის დამთავრების სხვადასხვა პედა-

გოგიური სასწავლებლები დაამთავრეს და მასწავლებლის პროფესიას დაუფლდნენ. იდეის ავტორი და ორგანიზატორი მერიის სკოლის პედაგოგი **ციური ბაბილოძე** გახლდათ. მოწვეული ჰყავდათ ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლებში მოღვაწე პედაგოგები: **თამარ გოგუაძე, ირმა მოისწრაფიშვილი, ნანა გუგუაძე, მაია არბელიძე, გურანდა კვაჭანტირაძე, იზა ბურჭულაძე, შორენა კიკუტაძე, ლია მურვანიძე, ნატო ბაქანიძე, ნარია ქავთარაძე, ლენა მოისწრაფიშვილი.**

საღამოს ამშვენებდნენ პენსიონერი პედაგოგები **ლილი ჩხაიძე, მაგული ჯინჭარაძე, პოლინა გოგუა, ნორა მარშანია, ლუარა ბურჭულაძე,** რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. ერთმანეთს ცვლიდა ლექსი და

სიმღერა, ტკბილი მოგონებები და ხალისიანი იუმორი.

„მილიონის მფლობელიც რომ ვიყო, ახლაც პროფესიად პედაგოგობას ავირჩევდი“ -ასე გამოხატა თავისი პროფესიისადმი პატივისცემა კონჭკათის სკოლის პედაგოგმა **გურანდა კვაჭანტირაძემ.**

„მე კი უვადოდ ვარ შეყვარებული ბავშვებზე“—განაცხადა ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის პედაგოგმა **თამარ გოგუაძემ.**

„სადაც კი წავალ, ყველგან ჩემი ყოფილი მოსწავლეები მხვდებიან; აფთიაქში, ავტობუსში, თეატრში“— თქვა პენსიონერმა პედაგოგმა **მაგული ჯინჭარაძემ.**

„ახალი არაფერია განათლების სისტემაში ისეთი, რომელიც თავის დროზე მერიის საჯარო სკოლაში არ გვექონოდა. ისტორია მაგული მასწავლებელმა შეგვაყვარა.“

შეუდარებელი სკოლა“ —ასე შეაფასა მშობლიური სკოლა სოფ. ოზურგეთის სკოლის პედაგოგმა **ლია მურვანიძემ.**

პედაგოგებს მიესალმა სკოლის დირექტორი **აეთანდილ კეჭავაძე.** მასწავლებლებს პროფესიული დღესასწაული მიულოცა მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **როზა გოგუაძემ.**

მერიის სკოლის ბიბლიოთეკას სპონსორობას უწყევს და ასეულობით ეგზემპლარ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას აწვდის ამ სკოლის კურსდამთავრებული, პოლიციის გადაამდგარი პოლიკოენიკი ნესტორ მიქაბაძე. ამჯერად მისი საჩუქრების ადრესატი სკოლაში მოწვეული პედაგოგები და სხვა სტუმრები იყვნენ.

კახა რუსიძე: „ ფრანკფურტის წიგნია ბაზრობა უდიდესია მსოფლიოში“



ალიონი. გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში წიგნის საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს, რომელშიც საქართველოც მონაწილეობს. ჩვენ ფრანკფურტში დავუკავშირდით გამოცემლობა „მერიდიანის“ დირექტორს, ოზურგეთელ **კახა რუსიძეს** და ვთხოვეთ შთაბეჭდილებები გადმოეცა აღნიშნულ ფესტივალთან დაკავშირებით:

– „ალიონის“ მკითხველს კარგად მოეხსენება თუ რა მნიშვნელობა აქვს წიგნის ბაზრობებს ლიტერატურის განვითარების საქმეში, ზოგადად, კონკრეტულად კი საერთაშორისო მასშტაბით. 500-წლიანი ისტორიის მქონე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, მსო-

ფლიოში უდიდესი წიგნის ბაზრობაა, მნიშვნელოვანია ისიც რომ, იგი ყოველწლიურად ტარდება და უამრავ ადგილობრივ, უცხოელ წიგნისმოყვარულს საშუალებას აძლევს მეტი იცოდნენ ავტორების, წიგნების, გამოცემლობების შესახებ. ბევრია ჟურნალისტი, კრიტიკოსი, მყარდება ურთიერთობები, ისახება გეგმები. მოკლედ ბევრი საქმიანი და არამხოლოდ საქმიანი შეხვედრა იმართება და ასეა დღესაც.

ერთი შეხვედრითაც ჩანს თუ რა დიდი შრომა ჩადებული ბაზრობის საპატიო სტუმრის, ანუ საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობისთვის წლებგანდელ ბაზრობაზე.

სხვათაშორის 2018 წელი „საპატიო სტუმრის სტატუსისთვის“ საიუბილეოა. „სტატუსი“ წელს 30 წლისაა. 1988 წელს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე იტალია პირველი საპატიო სტუმარი ქვეყანა გახდა და მას ერთ კონკრეტულ ქვეყანას საშუალება ეძლევა მთელი წლის განმავლობაში, გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, წარმოადგინოს მთელი თავისი ინტელექტუალური რესურსი: ლიტერატურით დაწვრილებული, თეატრით, კინოთ, ფოლკლორით, სამხარეულოთ გაგრძელებული და ასე შემდეგ. მოკლედ, ჩამონათვალი გრძელდება და ბევრ აქტიურობას მოიცავს, მათ შორის ლიტერატურულ კონკურსის „საბას“ დაჯილდოვებას. დამეთანხმებით ალბათ, ორიგინალური გადაწყვეტაა.

მინდა გითხრა, რომ პირველად ვარ მსგავს ღონისძიებაზე უცხოეთში და უშუალო შედარების საშუალება არ მაქვს, მაგრამ რაც უკვე ვნახე და განვიცადე ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. დიდ ემოციურობით არ გამოვიჩნევი, მაგრამ მინც მჭირდება რამდენიმე დღე ემოციის გაზოგადების გამოსახატავად. ვიმედოვნებ მექნება საშუალება „ალიონის“ მკითხველებს უფრო დაწვრილებით მოუყვე ბაზრობაზე, ჩვენს რამდენადმე შეცვლილ გეგმებზე, მათ განხორ-

ცილების გზებსა და ვადებზე. მანამდე გიგზავნი რამდენიმე ფოტოს, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს აქ არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობას.

ვიდრე დაგემშვიდობებოდე, არ შემიძლია არ გამოვეხმაურო ბაზრობის გახსნაზე აკა მორჩილადის სიტყვას. პროზის დიდოსტატმა რამდენიმე წუთიან სიტყვაში თითქმის ყველაფრის თქმა (ანბანი, პოეზია, პოეტი, მწერალი...) მოასწრო მსმენელისთვის. მათ შორის ქართული მრავალრიცხოვანი დელეგაციისათვის.

დროებით გემშვიდობები.

* * *

ფრანკფურტში, წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე იმეოფება საქართველოს პარლამენტის ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, **გიორგი კეკელიძე**. იგი ბაზრობაზე, სპეციალური მისიურით წარსდგა, რომელზეც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია იყო დატანილი. სხვადასხვა სცენაზე გიორგი კეკელიძის გერმანულად თარგმნილი ლექსების კითხვა გაიმართა. ავტორი მოდერაციას უწევდა ასევე გოდერძი ჩოხელის საღამოს.

გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრების“ გერმანული გამოცემის წარდგენა გაიმართა.



ოზურგეთში სავალუტო ჯიხურების უმეტესობა არ გასცემს ვალუტის გაცვლის დამადასტურებელ ქვითარს, შეინიშნება სხვა დარღვევებიც



ალიონი. „ვალუტის გაცვლისას გამოიჩინონ განსაკუთრებული

ყურადღება და ტრანზაქციის შესრულებაზე გადაამოწმონ გაცვლით კურსთან და მომსახურების საკომისიო გადასახადთან დაკავშირებული ინფორმაცია. იმ შემთხვევაში თუ მიიჩნეოთ, რომ თქვენი უფლებები დაირღვა, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე 2 406 406“, – აცხადებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ).

სებ-მა, დედაქალაქის მასშტაბით მიმდინარე შემოწმების ფარგლებში, ვალუტის გადამცვლელ რამდენიმე პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმა. მისი ინფორმაციით, აეროპორტებსა

და ტურისტულ ზონებში მდებარე სავალუტო პუნქტებმა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მოთხოვნები დაარღვიეს.

კერძოდ, სავალუტო პუნქტები მომხმარებლებს სათანადოდ არ აწვდიდნენ ინფორმაციას ვალუტის გადაცვლის ოპერაციების შესახებ.

მოქმედი წესით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ვალდებული არიან, ვალუტის გაცვლიდან 30 წუთის განმავლობაში, მომხმარებლის მოთხოვნით ვალუტის გაცვლის დამადასტურებელი ქვითრის

წარდგენის საფუძველზე, გააუქმონ ოპერაცია და დააბრუნონ გაცვლილი თანხა.


რაც შეეხება ოზურგეთში არსებულ სავალუტო ჯიხურებს. უმეტესობა არ გასცემს ვალუტის გაცვლის დამადასტურებელ ქვითარს. შესაბამისად მომხმარებელს არ აწვდის ინფორმაციას, რომ შესაძლებელია გააუქმონ ოპერაცია და დააბრუნონ გაცვლილი თანხა. ასევე არ აწვდიან ინფორმაციას ვალუტის საყურადღებო გაცვლითი კურსისა და მომსახურების საკომისიოს შესახებ.

სავალუტო ჯიხურებს ეროვნული ბანკის ოფიციალურ კურსთან შედარებით 5%-იანი მარჟა აქვთ, ანუ შეუძლიათ 5%-ით მეტი ან ნაკლები დააწესონ.

ამ შემთხვევაში ოზურგეთის ჯიხურებში დარღვევა არ იკვეთება. თავად ჯიხურებს შორის სხვადასხვა ვალუტის კურსებში სხვაობა საშუალოდ 50 თეთრია.

ამ ყოველივეს ოზურგეთის ცენტრში განთავსებულ ჯიხურებზე რამდენიმე დღიანი დაკვირვების შემდეგ ვწერთ.

გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის უმედეგ (1804-1805 წწ.)



1804 წელს გურიის სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის უმედეგ, სამთავროს ფაქტობრივად იმპერატორს დაუხვედრებია **ქაიხოსრო გურიელმა** სამხედრო-სახელმწიფო საქმეებში მისი ინტერესების დაცვით.

ბრძოლა გამგებელმა **ქაიხოსრო გურიელმა** სამხედრო-სახელმწიფო საქმეებში მისი ინტერესების დაცვით.

ილის მიღების უმედეგ საქართველოს მთავარსარდალმა სამთავროს საშინაო საქმეებში ქაიხოსრო გურიელისა და ჯერ კიდევ არასრულწლოვანი მთავრის **მამია V გურიელის** მხარე დაიკავა. ამით განაწვენიერებული **ვახტანგ** და **ლევან** ბატონიშვილები თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილი იმერეთის მეფეს დაუკავშირდნენ და შეეცადნენ, რომ მას ოსმალეთთან ურთიერთობა დაემყარებინა. ქაიხოსრო გურიელი ცდილობდა ვახტანგ და ლევან ბატონიშვილებს დათრგუნვას, მან ხელთ იგდო ლევან ბატონიშვილის წერილი სოლომონ II-დმი, რომელიც იმერეთის მეფის ოსმალეთთან ფარულ ურთიერთობას ადასტურებდა. ქაიხოსრო გურიელმა წერილი ციციანოვს გაუგზავნა და დიდი მადლობაც დაიმსახურა.

არც ვახტანგ და ლევან ბატონიშვილები იყვნენ გულხელდაკრეფილი. მათ დახმარება ახალციხის ფაშას **სელიმ ხიმშიაშვილს** თხოვეს. სელიმ ხიმშიაშვილმა გურიაში შემოჭრისათვის დაიწყო მზადება, რაც მალევე გახდა ცნობილი რუსებისათვის. 1804 წლის 12 ნოემბერს ციციანოვმა სელიმ ხიმშიაშვილი გააფრთხილა ხელი აეღო განზრახვაზე. საქართველოს მთავარსარდალმა ახალციხის ფაშას კატეგორიულად აუკრძალა გურიიდან ტყვეების გაყვანა. ციციანოვი სელიმ ფაშას წერდა: თუ გურიიდან ტყვეების გატაცებას გააგრძელებ, ამის შესახებ სტამბოლში რუსეთის ელჩს ვაცნობ და ოსმალეთის სულთანი შენს მოქმედებას დაუსჯელს არ დატოვებს. სელიმ ფაშა მიხვდა ციციანოვის გააქტიურების მიზეზს: საქართველოს

მთავარსარდალიერ დროს გურიის სამთავროს შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიის – ქვემო გურიის (ქობულეთი, ბათუმი) დასაპყრობად ემზადებოდა და წინასწარ ამინებდა ახალციხის ფაშას. ჯერ კიდევ გურიის სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლამდე, 1804 წლის 13 თებერვალს, ციციანოვი სტამბოლში რუსეთის ელჩს **ანდრე იტალინსკის** წერდა, რომ ეზრუნა, რათა გურიის სანაპიროზე მდებარე ბათუმის ნავსადგური რუსეთის გადასცემოდა. 1804 წლის 25 აპრილს პაველ ციციანოვი ანდრე იტალინსკის სწერდა: გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა, ბათუმი

გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ

(1804-1805 წწ.)

გურიის ნაწილია და იგი რუსეთს უნდა გადაეცეს. 1804 წლის 30 სექტემბერს, ციციანოვი ლიტვინოვს ატყობინებდა: ადამ ჩარტორისკი მთხოვს სასწრაფოდ მივაწოდო ცნობა, თუ როდის დაკარგა გურიის სამთავრო ბათუმში.

ლიტვინოვი მაშინვე გაემგზავრა გურიაში სამთავროს ისტორიული საზღვრების შესახებ ცნობების შესაგროვებლად. ქაიხოსრო და მამია გურიელებმა ლიტვინოვს აცნობეს, **ქობულეთი, კინტრში, ციხისძირი, ჩაქვი** და **ბათუმი** წინათ გურიის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. ლიტვინოვს ლევან ბატონიშვილიც გამოუკითხავს, რომელსაც ასეთი განმარტება მიუცია: **ხინო** და **ქობულეთი** 30 წლის წინ, ხოლო **ჩაქვი** და **ბათუმი** 80 წლის წინ დაუკარგეთო. ციციანოვმა ქვემო გურიის ტერიტორიის დაპყრობა ვერ მოასწრო, ეს საკითხი ხელახლა და უფრო მწვავედ დაისვა რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომის დროს, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერც მაშინ გადაიჭრა.

ქაიხოსრო გურიელისაგან დევნილი ლევან ბატონიშვილი იმერეთში გაიქცა. ბატონიშვილს სურდა ქაიხოსრო გურიელის წინააღმდეგ გენერალ-მაიორი **იონ რიკოფი** გამოეყენებინა. ამით ისარგებლა ქაიხოსრომ, ფოთის ბეის ოსმალთა რაზმი და ზარბაზანი სთხოვა და ლევან ბატონიშვილის მამული დაიკავა. გურიის სამთავროში კვლავ არეულობა დაიწყო.

სამთავროს საშინაო საქმეებში სოლომონ II ჩაერია. 1805 წლის აპრილში მეფე ჯარით საჯავახოში მივიდა და ქაიხოსრო გურიელი იძულებული გახდა ლევან ბატონიშვილისათვის მამული დაებრუნებინა.

1805 წლის მარტ-აპრილში დასავლეთ საქართველოში **აპოლოს მუსინ-პუშკინის** დავალებით გეოლოგიური ექსპედიცია იმყოფებოდა. ექსპედიციაში შედიოდნენ: ინგლისელი ინჟინერ-მექანიკოსი **მაქსენი**, ექვსი ინგლისელი სამთო ოსტატი, ერთი ბერძენი ოსტატი, ერთი პრაქტიკანტი სტუდენტი, ექსპედიციას იცავდა 16 კაზაკი. ლიტვინოვმა ქაიხოსრო ბატონიშვილს ამ ექსპედიციის გურიის სამთავროში შესვლა სთხოვა და თანხმობაც მიიღო. გურიაში დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ ექსპედიცია სამეგრელოს სამთავროში გადავიდა. დაახლოებით იმავედროულად გურიაში იმოგზაურა ოფიცერმა **ლამპარევმა**, რომელსაც შავი ზღვის სანაპიროზე ნავმისადგომის შერჩევა ევალებოდა. ლამპარევი იმყოფებოდა სოფელ **გრიგოლეთში**, რომელიც თავად ნაკაშიძეს ეკუთვნოდა. ციციანოვს აინტერესებდა, გამოდგებოდა თუ არა გრიგოლეთი ნავმისადგომის მოსაწყობად, რომ რუსეთის გემები ზამთარში იქ შესულიყვნენ. ლამპარევმა გრიგოლეთის სანაპირო ნავმისადგომის მოსაწყობად შეუფერებლად ცნო.

ლევან ბატონიშვილი ქაიხოსრო გურიელის წინააღმდეგ ბრძოლას არ

წყვეტდა. 1804 წელს პიოტრ ლიტვინოვმა ქაიხოსრო სამეგრელოში ლევან ბატონიშვილთან შესარიგებლად მიიწვია. სოლომონ II-მ ქაიხოსრო გურიელი გააფრთხილა, რუსებს არ ენდო. ქაიხოსრომ სამეგრელოში წასვლა გადაიფიქრა და ლიტვინოვი გურიაში მიიწვია. ქაიხოსრო გურიელი, ლევან ბატონიშვილი და პიოტრ ლიტვინოვი ერთმანეთს რიონის მარცხენა ნაპირზე, გურიის სამთავროს ტერიტორიაზე, შეხვდნენ. რუსმა მოხელემ ეს შეხვედრა გურიის სამთავროში არსებული დაპირისპირების კიდევ უფრო გასამწვავებლად გამოიყენა. გურიის ერთიანობის აღდგენის ნაცვლად ქაიხოსროს და ლევანს ლიტვინოვმა სამთავროს ტერიტორიის (სოფლების, ციხეების, ეკლესიების, მონასტრების) გაყოფა შესთავაზა. შემუშავებული იქნა გაყოფის პროექტიც. გადაწყდა, რომ მედიატორებად სამეგრელოს თავადები და ჯყო-ნდიდელი მთავარებისკოპოსი მოეწვიათ, ამავე დროს ქაიხოსრომ და ლევანმა განაცხადეს: გურიის სამთავროში ჩამოვარდნილი შფოთის მიზეზი იმერეთის მეფეა, რის გამოც სამთავროს გაყოფის მოლაპარაკების პროცესში იმერეთის მეფის წარმომადგენელი ვერ მიიღებს მონაწილეობას. ქაიხოსრო და ლევან ბატონიშვილები შეთანხმდნენ, რომ სამთავროს საბოლოოდ გაყოფამდე ერთმანეთის მიმართ მტრული მოქმედებისაგან თავი შეეკავებინათ. ქაიხოსრო გურიელი კარგად ხედავდა,

რომ გურიის სამთავროს გაყოფა კარგს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ ინიციატივა რუსეთის ხელისუფლებიდან მომდინარეობდა. ქაიხოსრო გურიელი სამთავროს გაყოფას იმ პირობით დასთანხმდა, რომ გაყოფის საქმე რუსეთის ხელისუფლებას მინდობოდა, ხოლო მთელი გურიის გამგებლობა **მამია V გურიელის** ხელში უნდა გადასულიყო. პირადად ქაიხოსრო დაკმაყოფილებული იმ მამულით, რომელსაც მას, როგორც ბატონიშვილს, მამია გურიელი გამოუყოფდა. გარდა ამისა, ქაიხოსრო გურიელი ითხოვდა: 1. რუსეთის ჯარის მიერ გურიის სამთავრო ოსმალეთის შემოსევებისგან დაცვას; 2. ქაიხოსროს უნდა მიეღო იმის გარანტია, რომ ვახუშანგ და ლევან ბატონიშვილები არაფერს დაუშვებდნენ; 3. გურიის სამთავროს გაყოფას რუსი პრისტავი უნდა დასწრებოდა.

გურიის სამთავროს გაყოფის პროცესში მედიატორებად მოწვეული სამეგრელოს თავადები და მთავარებისკოპოსი ჯყო-ნდიდელი სამეგრელოს მთავრის სახლთუხუცესის ავადმყოფობის გამო გურიაში ვერ ჩავიდნენ, სამთავროს გაყოფა გადაი-

მოხდა. იმ ხანებში კვლავ დაიძაბა იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს შორის ურთიერთობა. იმერეთის მეფე გურიელსა და დადიანს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. გურიაში სოლომონ II-ს საკმაოდ გავლენიანი მოწინააღ-

მდეგეები ჰყავდა, მათ შორის მთავარი იყო მამია გურიელის დედა **მარინე**, იმერეთის მეფის სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის და. დელოფალი მარინე **ზურაბ წერეთლის** ჩავონებით, რომელიც რუსული ორიენტაციის მომხრე იყო, ყოველნაირად უშლიდა ხელს სოლომონ II-ის გავლენის გავრცელებას გურიის სამთავროზე და მისი გეგმების შესახებ საქმის კურსში აყენებდა რუსეთის ხელისუფლებას.

1805 წლის დასაწყისში სოლომონ II ჯარით სოფელ **საჯავახოსაკენ** დაიძრა. ქუთათელმა მიტროპოლიტმა **დოსითეოზმა** და გენათელმა მთავარებისკოპოსმა **ფეოფიმი** მეფის დავალებით ქაიხოსრო გურიელს სოლომონ II-სთან გამოცხადება სთხოვეს. ქაიხოსრომ იცოდა, რომ ციციანოვს ეს შეხვედრა ეჭვის საფუძველს მისცემდა, ამიტომ იყო, რომ მან შეხვედრის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ლიტვინოვი, რომელმაც ქაიხოსროს შეხვედრაზე გამოცხადება ურჩია. ლიტვინოვს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: რუს მოხელეს სურდა ქაიხოსრო გურიელის მეშვეობით სოლომონ II-ის გეგმები შეეტყო. შეხვედრა არ შედგა. პაველ ციციანოვმა სოლომონ II-ს ჯარის შეყვრის მიზეზის განმარტება მოსთხოვა. მეფე იძულებული გახდა ლამპარევა გადაეღო.

მასტანა გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი 1, გვ. 2004-2006 გვ.)

გურიის სამედიცინო და კულტურული ტურიზმი

შეკვეთილი დღეს



დღეს შეკვეთილი პოპულარული საკურორტო ადგილია, როგორც სამედიცინო ისე კულტურული ტურიზმისათვის. სადაც განთავსებულია: **ატრაქციონების პარკი „ციციანთელა“** „ციციანთელა“ 14,5 ჰექტარზეა გადაჭიმული, სადაც ჩამოსული და მსვენებლისა თუ ადგილობრივ მოსახლეობას აქტიური გართობისა და დასვენების საშუალება ეძლევა. აქ არის სხვადასხვა სირთულის ატრაქციონები, ბოულინგ-ცენტრი, კარტინგის მოედანი, სიცილის ოთახი, მუსიკალური შადრევანი, 100-მდე სათამაშო ავტომატი განთავსებულია ოთხ თანამედროვე კეთილმოწყობილ დარბაზში.

პარკი „საქართველი მინიატურებში“
პარკი მოიცავს ორ ჰექტარ ფა-

რომელმაც 115 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. არენა ფონდმა უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.

„ბლექსი არენა“ აღჭურვილია სპეციალური აპარატურით და განათების სისტემით, რომელიც გრანდიოზული შოუების ჩატარების საშუალებას იძლევა, აქვს მოძრავი სახურავი, რომელიც ამინდზეა მორგებული. საკონცერტო სივრცე სრულიად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

„მუსიკოსების პარკი“

მუსიკოსების პარკი ბლექსი არენას მიმდებარე ტერიტორიაზეა, სადაც მოწყობილია სასაუნო ბილიკები, სკამები, განათებები, დგას მსოფლიოში და საქართველოში



რობს და შეკვეთილში ატრაქციონების პარკ „ციციანთელას“ მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტულ რეკრიაციულ პარკშია გაშენებული. კომპლექსი მოიცავს პარკს, თავად მინიატურებს ინფრასტრუქტურას და ვიზიტორთა ცენტრს, რომელშიც განთავსებულია მინი ამფითეატრი, კაფე და სხვა ფუნქციური სივრცეები. მინიატურების პარკის მშენებლობა 2014 წელს დაიწყო, ეს არის მინიატურების პირველი პარკი საქართველოში, რომელიც 50-ზე მეტი არქიტექტურის ძეგლს მოიცავს.

„ბლექსი არენა“
საკონცერტო დარბაზი
ეს არის ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი საქართველოში, იტევს 10 000-მდე მაყურებელს, გაიხსნა 2016 წლის 31 ივლისს. დარბაზის მშენებლობა დაიწყო 2008 წელს ფონდ „ქართუს“ მიერ,



აღიარებული მუსიკოსების, მომღერლებისა და კომპოზიტორების ქანდაკებები, ასევე კლასიკური და პოპ-მუსიკის ვარსკლავების ქანდაკებები. ქანდაკებებთან მოწყობილია დასასვენებელი სივრცე ჟღერს იმ მუსიკოსთა კომპოზიციები, რომლის ქანდაკებასთანაც მიდის დამსვენებელი.

სასტუმრო „პარაგრაფი“ ხუთვარსკლავიანია გრანდიოზულ სასტუმროში 5 სხვადასხვა კატეგორიის 220 ნომერი ფუნქციონირებს, რომლებსაც ხედი ზღვის სანაპიროზე აქვთ. 2000 კუბური მეტრის მოცულობის აქვარიუმი, 150-ზე მეტრზე ზღვაში შეჭრილი აუზი. ღია და დახურული საცურაო აუზები წყლის სასრიალო ატრაქციებით, ზამთრის ბაღი ეს ყველაფერი ერთ სივრცეშია თავმოყრილი.

გარდა დასვენებისა, სასტუმრო სთავაზობს კონფერენციებისა და ფორუმებისათვის სრულად აღჭურვილ სა-

კონფერენციო დარბაზებსა და შეხვედრების ოთახებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

წელს „ბლექსი არენასთან ახლოს გაიხსნა ფერადი მუსიკალური ფანტანი, რომელიც კიდევ უფრო სასიამოვნო გარემოს ქმნის დამსვენებელთათვის.

ახლა მიმდინარეობს შეკვეთილის შიდა გზების მოწესრიგება. ამდენად შეკვეთილი საქართველოს შავი ზღვის სპირეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი კურორტია, როგორც სამედიცინო, ისე კულტურული დასვენებისათვის.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის საშუალო კაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

სალომე ზურაბიშვილი „ერთად საქართველოსათვის“

№48

დიპლომატიური გზა საქართველომდე



საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი

როცა პროფესიის არჩევის დრო დადგა, გადავწყვიტე, დიპლომატი გავემდარეყავი. ამ არჩევანს ქვეცნობიერად, ალბათ, საფუძვლად ედო იმედი იმისა, რომ დიპლომატიის პროფესიით, სამომავლოდ, საკუთ-

არ სამშობლოს გამოვადგებოდი. დავამთავრე პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, პარიზის სახელმწიფო მართვის ეროვნული სკოლა.

ჩემი პირველი დიპლომატიური სამსახური კი 22 წლის ასაკში, რომში, საფრანგეთის საელჩოში დაიწყო.

რომში ყოფნისას გავიგე საქართველოში შექმნილი დისიდენტური ვეგუფის შესახებ - ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, ძმებმა გუდაგებმა დისიდენტური ჟურნალი სწორედ მაშინ გამოსცეს. ჩემთვის ზვიად გამსახურდია ჩვეულებრივი პოლიტიკური ფიგურა არ არის და ვერ იქნება, რადგანაც მისი სახელი დაკავშირებულია ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან და ფასდაუდებელ მოვლენასთან საქართველოს უახლეს ისტორიაში - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან.



საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დახვედრა

შეერთებულ შტატებში, ავსტრიაში, ჩადსა და ბელგიაში. 2003 წლის ნოემბერში, საქართველოში საფრანგეთის და თანამდებობაზე ვმუშაობდი: სრულყოფილიანი ელჩად დავინიშნე.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

„ალეგროსა“ ოჯურგეთში



ბაღში“ რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს საინტერესო გამოფენები ჰქონდათ მოწყობილი. „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში გამარჯვებულ მცირე მეწარმეებს თავიანთი პროდუქცია ჰქონდათ წარმოდგენილი. იყო საჩვენებელი სპორტული გამოსვლები.

სპეციალურ სცენაზე თავიანთი ხელოვნება წარმოადგინეს ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „შვისკაცა“, „იადონი“, „ილეკო“, „ურეკი“, „ლაშა-გიორგი“, „აისი“, „იბერია“, „მანანური“, „ზენაარი“, „ფოლკლორული ანსამბლები“, „ვახტანგური“, „შემოქმედი“, „გურია“ (ჩოხატაური), „ელესა“, „ოსსენური, აცაურა“, (ლანჩხუთი), ანსამბლები: „ალილეა“, „რეხეული“, ოჯურგეთის სალოტბარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდები, კვარტეტი „პარმონია“, სოლისტები ლევან ნინიძე, ჯემალ ჭელიძე, რეზო ხომერიკი.

მოეწყო კონკურსის „მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია“ გამარჯვებულთა დაჯილდოება.

ოჯურგეთის თვალის კლინიკა



ოჯურგეთის თვალის კლინიკაში თქვენს სამსახურშია ყველაზე თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურა. მუდმივად ვაწარმოებთ მონიტორინგს, ვაფასებთ დანადგარების ხარისხს და შესაძლებლობას, რათა შევთავაზოთ ჩვენს პატარებს ყველაზე მაღალი სტანდარტი.

ოპერაციებს ჩატარებს ოფთომოლოგი, პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე. კვლევებს კი ატარებენ მოწვეული სპეციალისტები.

თვალის სრული კვლევა პენსიონერებისთვის უფასოა, ადგილზე მოხდება სათვალეების და ლინზების შერჩევა.

თვალის კლინიკა იმუშავებს ყოველდღიურად 09. 30-დან 17 საათამდე.

მისამართი: ქ. ოჯურგეთი, 9 აპრილის ქ. №5; მობ. 577 90 90 56.

7 დღის ამინდის პროგნოზი

გვი
ღრუბელი
+13+22
15 თებერვალი
ორშაბათი

გვი
ღრუბელი
+12+22
16 თებერვალი
სამშაბათი

გვი
+14+23
17 თებერვალი
ოთხშაბათი

გვი
+14+25
18 თებერვალი
ხუთშაბათი

გვი,
ღრუბელი
+14+22
19 თებერვალი
პარასკევი

გვი,
ღრუბელი
+13+18
20 თებერვალი
შაბათი

წვიმა
+12+16
21 თებერვალი
კვირა